

# კანონი ჩაპარდა – ოპოზიციის აზრით ეს დადგმული სპექტაკლია



**მიხეილ გოგოლაშვილი**, „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისათვის“ ოპოზიციის ორგანიზაციის თავმჯდომარე: – ეს ყველაფერი არის პირადად ბიძინა ივანიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი, რომელმაც ერთხელ კიდევ ახუნდა აივანო საკუთარი მოსახლეობა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, არა საკუთარ ხალხად, არამედ მონებად გვთვლის. ათამაშა და სულში ჩააფურთხა ქართველ ხალხს. 20 ივნისი, გავრილოვის დამე გაიმეორა ფაქტობრივად. დააქინა და დააბეჭა

ავა ხალხი, ყველა საქართველოდან გაქცევაზე ფიქრობს. ამის პატიება არ შეიძლება. ეს მოვლენები იქნება ბიძინა ივანიშვილის დასასრულის დასაწყისი.

ამ კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა მისცა ლანჩხუთის, ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 6 დაბისა და სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნინო წილოსანმა. მან სირცხვილი ატანა გურულებს. მას აღარ აქვს უფლება, პქონდეს მანდატი, იყოს დეპუტატი და წარმოადგენდეს გურიის ხმას საქართველოს პარლამენტში. მან ქვეყნის უკეთესი მომავალი ანაცვალა საკუთარ კეთილდღეობას. პროპორციული არჩევნები ხომ თვითონ „ოცნების“ დაპირება იყო 2012 წელს. თემურ ჭკუასელი რომ ხმას მისცემს წინააღმდეგ, როგორ დავეჯერო, რომ ეს გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილისგან დამოუკიდებლად მიიღო.



**დავით მამალაძე**, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ოპოზიციის ორგანიზაციის თავმჯდომარე: – ჩემი აზრით, ეს ჩვენი ოლიგარქის და „მამამარჩენალის“ ბოლო ტრიუკია. მის გარეშე ვერც ერთი მაჟორიტარი ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას. საკამათოა, საერთოდ რაში დასჭირდა ამის გაკეთება. იმიტომ ხომ არა, რომ პარლამენტში საკითხის შესაძლებლობა მოსმენამდე სიტუაცია დალაგდეს და პროპორციულ სისტემაზე

გადასვლა მან მიიწეროს? თქვას, რომ მისი დამსახურებაა და არა ოპოზიციური პარტიების. ძალიან ცუდი ტენდენციის მომსწრე ვართ. თუკი ბიძინა ივანიშვილი ფიქრობს, რომ მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნებით ძალაუფლებას შეინარჩუნებს, ძალიან ცდება, – ეს სახელმწიფოებრიობის იდეის დასამარბებს ნიშნავს.

მე პირადად გადაწყვეტილი მქონდა, რომ, თუკი კვლავ დარჩებოდა მაჟორიტარული სისტემა, ყოველგვარ პოლიტიკურ საქმიანობას ვწყვეტდი და სხვა ღონისძიებებს მივმართავდი, სხვა, უფრო რადიკალურ ღონისძიებებზე ვაპირებდი წასვლას. მაგრამ მგონია, ეს საჭირო არ გახდება და ივანიშვილს გონიერება ეყოფა დემოკრატის და ხალხის ნებას არ ალუდებს წინ.

აქციებს რაც შეეხება, ვერ-ვერობით თბილისისკენა მთელი ყურადღება მიმართული, რეგიონულ დონეზე არ გვიმსჯელება.



**შოთა გოგობერიძე**, „დავით თარხან-მოურავი-საქართველოს პარტიოტა ალიანსის ოპოზიციის ორგანიზაციის თავმჯდომარე: – „საქართველოს პარტიოტა ალიანსი“ ველოდებოდა, რომ შესრულდებოდა ის ძალიან სერიოზული პოლიტიკური დანაპირები და განაცხადი, რაც რამდენიმე თვის წინ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ გააუღერა, რათა დაცემულიყო საპროტესტო გამოსვლების წინააღმდეგობრივი მუხტი, რაც 20 ივნისის მოვლენებს მოჰყვა.

სხვათა შორის, ამ დანაპირებმა დააბალანსა კიდევ ვითარება, მოთხოვნათა რიგი შემცირდა. საზოგადოება ელოდებოდა, რომ 2020 წლის არჩევნები ჩატარდებოდა პროპორციული წესით, მივიღებდით მრავალპარტიულ პარლამენტს, რაც, რა თქმა უნდა დემოკრატის გააძლიერებდა.

უნდა ვაღიაროთ, რომ არჩევნების მაჟორიტარული ფორმა იმდენად კარგად მოიწოდებდა ქვეყანაში არსებულმა ფინანსურმა ვკუფებმა, რომ აზრიც კი დაეკარგა არჩევნებს. ვხედავთ ერთი და იგივე სახეებს, ადამიანებს, რომლებიც თითქმის მე-6, მე-7 მოწვევის პარლამენტში ბრძანდებიან. რადგან ისინი გარკვეულ ფინანსურ ინტერესთა ვკუფებს წარმოადგენენ და აქვთ გავლენები, ყველა ხელისუფლება ცდილობს გამოიყენოს მათი სამსახური. ნაციონალური მოძრაობის დროსაც

## კ ა ნ ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი    გ ა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამოშვება.    № 40 (10333) 18 ნოემბერი, 2019 წ.    შპსი 60 თმთბი.

გაზეთი ბამროის 1931 წლის 5 იანვრიდან

## პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის განცხადება



დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა, დემოკრატიული განვითარების გზაზე, მორიგ მნიშვნელოვან ეტაპს გადის, როგორც მმართველი პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეს, აუცილებლად მიმანია, გამოვეხმაურო იმ პროცესებს, რაც ამ დღეებში პარლამენტში ვითარდება.

იმედგაცრელებული ვარ, რომ საბოლოო ჯამში, ვერ მოხერხდება ხორცი შესხმობა ჩვენს ინიციატივას, პროპორციული წესით, ნულგვანი საარჩევნო ბარიერის პირობებში ჩაკეტილობა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები – სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა ეს ინიციატივა, „ქართული ოცნების“ დეპუტაციის ერთი ნაწილის, ძირითადად მაჟორიტარების, წინააღმდეგობის გამო ჩაავლო.

საზოგადოებაში ისმის კით-

## რა გაკეთდა დვაბზუში და როგორია ამ სოფლის პერსპექტივა

**ალიონი**. ოპოზიციის მუნიციპალიტეტის დვაბზუს თითქმის 900-კომლიანი ადმინისტრაციული ერთეული ორ სოფელს – გაღმა დვაბზუსა და დვაბზუს მოიცავს. „ალიონი“ დაინტერესდა რა გაკეთდა წლეულს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ამ ისტორიულად ერთერთ უძველეს დასახლებაში და ამ მიზნით გასული კვირის სუთშაბათს, 15 ნოემბერს დვაბზუს ეწვია.

სოფელში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელ მამუკა გოგუაძესთან, მის თანაშემწეებთან ვასო ღლონტთან და იური გოგოლაშვილთან გასაუბრების შემდეგ, მათთან ერთად, გაღმა დვაბზუში გავემართეთ, სადაც პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები დავათვალიერეთ.



როგორც ვასო ღლონტმა გვითხრა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნული ტერიტორიული ერთეულისათვის გამოყოფილი 72 ათასი ლარიდან 32 ათასი ლარი გაღმა დვაბზუში მოდიოდა. ამ თანხის უმეტესი ნაწილი, დაახლოებით 28 ათასი ლარი მონაწილეობაზე გადასვლის გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა გუნდმა, საკუთარი ინიციატივით, ვერ კიდევ 2017 წელს, იმ საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში მიიღო, რომელიც ოპოზიციური სპე-

ისძიებები, არჩევნების დროს აქვეა განთავსებული საარჩევნო უბანი. მოწესრიგდა ეზო. თამაზ გობრონიძის ეზოსთან მოეწყო ცხაური. გაღმა დვაბზუელები სპორტული და ჯანსაღი ცხოვრების წესით გამორჩეული ხალხია. პროგრამის ფარგლებში აქ გარემონტდა სპორტული ბაზა – კეთილმოეწყო ფეხბურთისა და მინიფეხბურთის სტადიონები.

**იური გოგოლაშვილის** თქმით, სოფლის პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა სოფლის ორივე სასაფლაოზე. ახალ სასაფლაოზე (ზუგანში) წინა მხარეს მოსწორდა მისასვლელი

გზა, გამაგრდა და შეკეთდა ბეტონის ლობე, რომელსაც, პირუტყვისაგან დაცვის მიზნით, სიმალეში დამატა კუთხოვანი ბოძები. უკანა მხარე კი შეიღობა 80 გრძივი მეტრი მავთულბადით. ძველ სასაფლაოზე, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, აღდგენილ იქნა დაზიანებული ბეტონის ლობე, გაკეთდა განათება, დაიდგა ახალი წინა და გვერდითი ჭიშკრები.

სოფლის ცენტრში ვნახეთ რეზო ღლონტის სახელობის ცნობილი საფეხბურთო სტადიონი, სადაც არაერთი საინტერესო ტურნირი თუ მატჩი

ჩატარებულა. ვასო ღლონტმა გვითხრა, რომ ამ სტადიონით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც კი დაინტერესდა. აქ შეერმონტდა და სახურავი შეეცვალა უამინდობის დროს სპორტსმენთა გადასაყურებლად გათვალისწინებულ ნაგებობას, რომელსაც დვაბზუელები „დახურულ ტრიბუნასაც“ ეძახიან. აქვე მაყურებელთათვის გაკეთდა და შეიღობა 25 მეტრი სიგრძის სკამძეგი. დაიდგა, ახალი კარები, როგორც დიდი, ისე მინიფეხბურთით სტადიონისათვის, შესაბამისად შექმნილ იქნა ბაღები.



# რა გაკეთდა ღვაბზუში და როგორია ამ სოფლის პერსპექტივა



სოფლის ცენტრში შეიკვალა გარე განათება, დამონტაჟდა ეკონომიური და გარემო ფაქტორებისადმი გამძლე ნათურები. აქვე შეიკვალა მილხიდი, 200 მეტრ სიგრძეზე გაიწმინდა სანიადვრე არხები, რეაბილიტირდა და შეიღობა შინამშენებელთა სტენტი, გაკეთდა განათება. სტენტის მიმდებარედ სანიადვრეებში ჩაწყობილ იქნა ბეტონის არხები. საბავშვო ბაღისთვის შექმნილ იქნა და ეზოში დამონტაჟდა 4440

მოსვლის შემდეგ, 2013 წლიდან დღემდე სოფელში 100-ზე მეტ ოჯახს გაეწია დახმარება სახლის გადასახურავად. მათ უფასოდ გადავიტვივის საჭირო ხის მასალა. ბოლო პერიოდში ცხრა ოჯახს გაეწია ასეთი დახმარება, მათ შორისაა გიზო გობრონიძე, რომელსაც გადაეცა 200 კვადრატული მეტრი თუნუქი და შესაბამისი ხის მასალა, მიმდინარეობს გადახურვის სამუშაოები. ანალოგიუ-



ლარის ღირებულების სათამაშო ინვენტარები. ჩვენი იქ ყოფნის დროს ბაღის მენეჯერი ეკა სვანიძე სკოლაში აღზრდის ცენტრში აღმოჩნდა წასული. ბაღის ექთნის დაისი მანარაძის თქმით კი, ამ სათამაშოების შექმნითა და დამონტაჟებით კარგი საქმე გაკეთდა:

„რაც მეტი ახალი ინფრასტრუქტურა გვექნება, მით უკეთესია. კარგია, ბავშვებიც ძალიან გახარებული არიან“, – გვითხრა ქალბატონმა დაისიმ. საბავშვო ბაღის შენობაში განთავსებულ სამედიცინო პუნქტის ოთახებში შეიკვალა ფანჯრები, ამავე შენობაში გარემონტდა საჭიდაო დარბაზი, სადაც მალე შეუდგება მუშაობას ცნობილი მწვრთნელი გურამ მაჭარაშვილი. ამავე შენობაში დამცავი გისოსები გაუკეთეს ბიბლიოთეკის ფანჯრებს. ბიბლიოთეკის გამგის ნატო თავაძაშვილის თქმით, მკითხველი საკმაოდაა, იზრდება წიგნადი ფონდიც. ერთ-ერთ უბანში ხათუნა წილოსანის ეზოს მიმდებარედ შეკეთდა მილხიდი. ამჟამინდელი ხელისუფლების

რი დახმარება გაეწია თამარ თევზაძის სოციალურად ხელმოკლე ოჯახს, სადაც სამი მცირეწლოვანი ბავშვი იზრდება. ქალბატონი თამარის თქმით, დღემდე დაიწყებენ გადახურვის სამუშაოებს.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის საკრებულოს 8 ნომერის სხდომაზე გაუღებულ ინფორმაციას, რომ ღვაბზუში 800 გრძივი მეტრი გზის რეაბილიტაციას აფრებენ რწმუნებულის თანაშემწე ვასო ლლონტი, თვით ვასო ლლონტი აბსურდულს უწოდებს:

„ამ საკითხზე თქვენს გაზეთში უკვე გააკეთეთ კომენტარი. სოფელში ყველა სასიკეთო საქმეს გვერდით ვუდგავარ და იმ ქუჩის რეაბილიტაცია შევაფრებ, რომელზეც თვითონ ვცხოვრობ? აბსურდია, სიმართლეს არ შეესაბამება. ამ ქუჩის რეაბილიტაციაზე საუბარი მუნიციპალიტეტის მერთან ჯერ კიდევ 6 თვის წინათ მქონდა. მოასფალტება დაანონსებული იყო რამდენიმე თვის წინ. ამ პერიოდისთვის ეს ქუჩა უკვე დაპროექტებულია. ასე რომ, ჯობს დაშვიდდნენ, ნუ ინერვიულებენ, სარეაბილიტაციო სამუშაოებს წინ ვერ-

აინ და ვერაფერი აღუდგება“. სოფელში მერის წარმომადგენლად მამუკა გოგუაძე 15 აგვისტოს დაინიშნა. ამ პერიოდში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები უკვე დაწყებული იყო, დამთავრებით კი მისი ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს დამთავრდა.

**მამუკა გოგუაძე:** „დაიხ, ეს სამუშაოები შესრულების პროცესში იყო, როცა ამ თანამდებობაზე დაინიშნე, ფაქტობრივად კი ჩემს დროს დასრულდა.

პირველი, რაც ჩემს დროს გაკეთდა, რა თქმა უნდა, მშობლებისა და მასწავლებლების მოთხოვნით, ეს იყო სოფლის ცენტრში, ტრანსპორტის სიჩქარის შემაფერებელი ბორცვაკები სოფლის ცენტრში, „მიხარე პოლიციელს“ რომ ეძახიან. ძალიან საშიში მდგომარეობა იყო და პირველი რიგის ამოცანად მივიჩნიეთ. სხვათა შორის, სოფლისთვის საჭირო ნებისმიერ საკითხზე მუნიციპალიტეტის მერი გვერდით ვვიდგავ. შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ მიერ დაწყებული ყველა საკითხი გადაწყვეტის პროცესშია.

მზად არის შალვა რადიანის სახლ-მუზეუმის, იგივე ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოსა და ეზოსგარეთა ტერიტორიის განათების მოწყობის პროექტი, ასევე მზად არის სოფელ ღვაბზუს ახალ სასაფლაოზე ელექტროენერჯის მიყვანისა და განათების პროექტი. დასრულების ფაზაშია ხიდი მდინარე სტოლონქროზე ჯაველიძეების უბანში, აქვე დაიგება ასფალტი.

აგერ თქვენს საუბარს ვუსმენდი ვასო ლლონტთან. არავის ადოკატობას ვაპირებ, მაგრამ ვერაფერს ვაძერძობ, რომ კაცმა, რომელმაც ყველაზე უკეთ იცის ღვაბზუში ნაკადულიც კი საიდან გამოედინება, სოფელში რაიმე შეაფერხა. ჩემი აზრით, ამ გაუგებრობას წერტილი უნდა დაესვას. სოფელში ერთიანობით უფრო მეტს ვაგაკეთებ ხალხისა და ჩვენს საკეთებელს, ვიდრე ერთმანეთთან დაპირისპირებით.

ღვაბზუს სტადიონზე მინდა გითხრათ ორიოდე სიტყვით. აქ ჩატარდა საერთაშორისო მნიშვნელობის ტურნირი – ბავშვთა სახალისო ფეხბურთის ეგიდით გათვალისწინებული შეჯიბრება.

როგორც იცით, მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივითა და გურიის ფეხბურთის ფედერაციის პატრონაჟით, ლიხაურში გაკეთდა სტადიონი. მე, როგორც გურიის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი და როგორც სოფლის თავკაცი, დაინტერესებული ვიყავი, ანალოგიური მომხდარიყო ღვაბზუშიც. ჩემი ინიციატივით, ერთმანეთს შევახვედრე გურიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი დავით მუჯირი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე. მერმა თანხმობა განაცხადა წილობრივი მონაწილეობა მიეღო ღვაბზუს სტადიონის რეაბილიტაციაში. მერე უკვე, დავით მუჯირის ინიციატივით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე შეხვდნენ ერთმანეთს და საკითხი დადებითად გადაწყდა. ასე რომ, სულ მოკლე დროში ღვაბზუს სტადიონი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება საქართვე-



ლოში რეაბილიტირებულ სტადიონებს შორის. აქვე აღვნიშნავ, რომ დღეს ამ სტადიონზე ვარჯიშობს ვაჟთა ორი და გოგონათა ერთი ასაკობრივი ჯგუფის ფეხბურთელები. მინდა გითხრა, რომ სულ მალე საზემოდ გაიხსნება ღვაბზუს ნასაკირალის საბავშვო ბაღი, სადაც ფაქტობრივად ყველაფერი დამთავრებულია და გვარდება წყლით მომარაგების საკითხი.

სავარგულებიდან მოსახლეობა უპრობლემოდ გამოიტანს ჭირნახულს. ამ ხილით ისარგებლებენ ასევე მომიჯნავე სოფლები. ამ ხიდს და მის მიმდებარე ტერიტორიას აქვს კარგი პერსპექტივა ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. ეს უშუალოდ მუნიციპალიტეტის მერის იდეაა და, როგორც ვიცი, შესაბამისი ინფრასტრუქტურის პროექტებიც დაიგება მალე“.



და ბოლოს, ყველაზე დიდი საქმე – ფაქტობრივად დამთავრებულია მშენებლობა და მალე ექსპლუატაციაში შევა სოფელში 115-მეტრიანი ხიდი, რომლის საშუალებით გალმით მდებარე მოსახლეობა (რვა კომლი) ყველაზე მოკლე გზით დაუკავშირდება სოფლის ცენტრს. გარდა ამისა, გალმით არსებული 30 ჰექტარი

თქვენი თანხმობით, აქვე ვისარგებლებ თქვენი სერვისით: სოფელში მიმდინარე სამუშაოების დროს მხარდაჭერისა და გვერდით დგომისათვის მადლობას ვუხდით „მეკას“ მენეჯერს ამირან გოგუაძეს, მეწარმეებს – ალიომა გოგოტიშვილს, ირმა ჩხაიძეს, შალვა თავდ-იშვილს, ნაზი ჯაველიძეს“.



# საქართველოს კარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის განცხადება



მოგესვენებათ, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა „ქართული ოცნების“ ინიციატივა იყო თავის დროზე. სწორედ ჩვენი გუნდის ძალისხმევით ჩაიწერა კონსტიტუციაში, რომ 2024 წლიდან არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით გაიმართება.

ასევე „ქართული ოცნების“ ინი-

ციატივა იყო, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა 2020 წლიდან, რასაც, როგორც ვნახეთ, სამწუხაროდ, დეპუტატთა გარკვეულმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა კენჭისყრის დროს.

როგორც არ უნდა შეეცადონ ამ პროცესის წარმოჩენას და ინტერპრეტაციას ჩვენი ოპონენტები, ეს გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში მიიღო ქვეყნის კონსტიტუციურმა ინსტიტუტმა - საქართველოს პარლამენტმა.

სამწუხაროა, ნამდვილად, რომ ინიციატივამ საკმარისი ხმები ვერ მიიღო, თუმცა პროპორციული არჩევნების 2020 წელს გადმოწევის ინიციატივის ვერ განხორციელება ქვეყნის დასასრულს არ ნიშნავს, როგორც ოპონენტებს სურთ დღეს ამის წარმოჩენა.

ეს ნიშნავს იმას, რომ 2024 წლამდე, საქართველოში რჩება იგივე საარჩევნო სისტემა, რომლითაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ჩვენი მოქალაქეები და საზოგადოება ცვლიდა და ირჩევდა თავის ხელისუ-

ფლებებს.

2020 წლის არჩევნები, მინდა დაგარწმუნოთ, ნებისმიერ შემთხვევაში დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარდება. ჩვენ ვიმუშავებთ, რათა ეუთო-ს რეკომენდაციების ფარგლებში მიმდინარე საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა კონსტიტუციული და ნორმალური პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში წარმატებით დასრულდეს. ჩვენ კონსულტაციებს ვმართავთ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთანაც, რომ ბოლომდე მივიყვანოთ ეუთო-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა. მე ამასთან დაკავშირებით მქონდა უკვე რამდენიმე შეხვედრა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან.

არჩევნებს ხალხის ნდობა ივებს და არა ცალკე აღებული საარჩევნო მოდელები. შესაბამისად, ნურავინ შეეცდება მოსახლეობის მხარდაჭერის არქონა, საარჩევნო სისტემის მახასიათებლებს დააბრალოს. ეს მინდა ცალსახად განვაცხადო.

შეგახსენებთ, ასევე რომ „ქართ-

ულმა ოცნებამ“ ქართველ ხალხთან ერთად, არათუ დღეს არსებულ დემოკრატიულ გარემოში და ჩვენ კიდევ გვაქვს სამუშაო, არამედ 2012 წლამდე არსებული რეპრესიული რეჟიმის პირობებშიც კი, სწორედ არსებული საარჩევნო სისტემით შეძლო არჩევნებში გამარჯვება და ხელისუფლებიდან მოხალაღე პოლიტიკური ძალის ჩამოშორება. ეს არ უნდა დაგვაიწყდეს, როდესაც ამ საკითხთან დაკავშირებით ვსმჯელობთ. საზოგადოება და ჩვენი მოქალაქეები თავისი არჩევანის გაკეთებას აუცილებლად შეძლებენ 2020 წლის არჩევნებში.

ჩვენს მოქალაქეებს და ჩვენს ქვეყანას სჭირდება მშვიდობიანი, სტაბილური გარემო განვითარებისთვის. სახელმწიფო არის და იქნება მოწოდების სიმაღლეზე და მზად არის გაუმკლავდეს ნებისმიერ გამოწვევას.

რა თქმა უნდა, ქვეყანაში არ იქნება არავითარი კრიზისი, ხოლო არჩევნები კონსტიტუციით დადგენილი წესით, განსაზღვრულ ვადებში, დემოკრატიულ და თავისუფალ გარემოში ჩატარდება.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მოუწოდებთ პოლიტიკოსებს, ჩვენს ოპონენტებს, აჟიოტაჟის ხელოვნურად შექმნის მცდელობების ნაცვლად, საფუძვლიანად მოემზადონ კონსტიტუციული, ნორმალური პოლიტიკური პროცესისთვის და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, სადაც ქართველი ხალხი გადაწყვეტს, თუ ვის ანდობს ქვეყნის მომავალს.

მე რა თქმა უნდა ძალიან ვწუხვარ, რომ არაერთმა ჩვენმა თანაგუნდელმა გუშინდელი კენჭისყრის შემდეგ, მიიღო გადაწყვეტილება უმრავლესობის დატოვებასთან დაკავშირებით. მე პატივს ვცემ რა თქმა უნდა მათ გადაწყვეტილებას, თუმცა ხვალ 11:00 საათზე გვექნება უმრავლესობის სხდომა, ჩვენ აუცილებლად მოვიკრებთ ძალას და ავიღებთ მომავალზეც პასუხისმგებლობას.

**„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ პრემსამსახურში**

## ნინო გოგუაძე - ჩემი უმადგომი საქმიანობის აღბილს ვერ ვხედავ უმრავლესობის რიგებში

მე, როგორც უმრავლესობის წევრი და როგორც საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვტოვებ პოზიციას, - ამის შესახებ უმრავლესობის უკვე ყოფილმა წევრმა „კონსერვატიული პარტიიდან“ ნინო გოგუაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

გოგუაძის თქმით, მისი პოზიცია ყველასთვის ცნობილი იყო, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

„ამ პროექტის ინიცირება გავაკეთეთ და ჩვენ თვითონ დავარწმუნეთ საზოგადოება, რამდენად მნიშვნელოვანი იყო პროპორციული სისტემაზე გადასვლა, ამ გადაწყვეტილებაზე უარი არ უნდა ეთქვათ. ეს ჩემთვის ახსნადი არ არის. მე თვითონ ბევრი ვისაუბრე ჩვენს მოსახლეობასთან, ასევე ჩვენ საერთაშორისო საზოგადოებასთან რამდენად მნიშვნელოვანი ცვლილება იყო ქვეყნისთვის. ამიტომ, მე დღეს ძალიან გამიჭირდება აუხსნა ჩვენს საზოგადოებას და პარტნიორებს, რატომ შეიცვალა ეს გადაწყვეტილება და არ მივიდა ბოლომდე. ჩემი შემდგომი საქმი-



ანობის ადგილს ვერ ვხედავ ისევ იმ უმრავლესობის პირობებში და სამწუხაროდ, ამ გადაწყვეტილების მიღება მიწვევს. რაც შეეხება კონსერვატიულ პარტიას, ბუნებრივია, ის გააგრძელებს საქმიანობას“, - განაცხადა გოგუაძემ.

შეგახსენებთ, რომ „კონსერვატორმა“ დეპუტატებმა - ზვიად ძიძიგურმა, ნინო გოგუაძემ და გიგა ბუკიამ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვეს.

ipn.ge

## მხარის რწმუნებული ათენში საქართველოს კონფერენციას დაესწრო

სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში ზურაბ ნასარაია, საერთაშორისო კონფერენციის „შავი ზღვის ქვეყნების სამომავლო პერსპექტივები“ დაესწრო, რომელიც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) და შავი ზღვის კვლევების საერთაშორისო ცენტრის (ICBSS) ორგანიზებით, საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ჩატარდა.

კონფერენცია ევროკავშირის და ევროკავშირის არაწევრი შავი ზღვის აუზის ქვეყნების წარმომადგენლებს შორის დიალოგის პლატფორმა იყო და შავი ზღვის ქვეყნებს შორის დისკუსიის სტიმულირებას ისახავდა მიზნად.

ლონისძიების ფარგლებში თემატურ ვგუფებს შორის სამუშაო შეხვედრები ჩატარდა. ერთ-ერთი თემა კულტურა და ტურიზმი იყო. სამუშაო ვგუფის შეხვედრის მიზანს ევროკავშირის პროგრამებში და ფინანსურ ინსტრუმენტებში გასათვალისწინებლად კულტურისა და ტურიზმის სფეროებში კონკრეტული იდეებისა და პროექტების შეთავაზება და იდენტიფიცირება წარმოადგენდა.

ლონისძიებაზე ასევე აღინიშნა,

რომ მთლიანად შავი ზღვის რეგიონს გააჩნია მდიდარი ისტორიული და არქიტექტურული მემკვიდრეობა და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები, რომელიც მოგზაურებს მთელი მსოფლიოდან იზიდავს.

გურიის მხარის წარმომადგენლებმა, თავის მხრივ, რეგიონის პოტენციალზე ეკოტურიზმის მიმართულებით ისაუბრეს, ასევე, ყურადღება გაამახვილეს გურული ფოლკლორის უნიკალურობასა და თავისებურებაზე და კულტურული ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე. შეხვე-

დრაზე გადაიღვა სამომავლო თანამშრომლობის კონკრეტული ნაბიჯები გურიის რეგიონსა და დამსწრე ორგანიზაციებს შორის, განსაკუთრებით ხელოვნებისა და კულტურის მიმართულებით.

შეხვედრას ევროკომისიის წარმომადგენლები, საბერძნეთის რამდენიმე უწყების მინისტრი, ელჩები, კვლევითი ინსტიტუტების და სხვადასხვა სამთავრო თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



## საქართველოში სიგარეტი მეზობელ ქვეყნებზე 2-ჯერ ძვირია



ევროკავშირის წევრი ქვეყნები აქციზის გადასახადს 90 ევრომდე 10 და მეტი წლის განმავლობაში ზრდიდნენ. საქართველო კი ესეთი ტემპით 90 ევროს 2-3 წელიწადში მიადგევს.

აქციზის განაკვეთის დადგენის დროს საქართველოს მთავრობამ რამდენიმე შესაძლო სცენარიდან განაკვეთის ყვე-

ლაზე სწრაფი მატების მეთოდი აირჩია. შესაბამისად, თავი იჩინა იმ უარყოფითმა შედეგებმა, რაც აქციზის გადასახადების უცვლად და მკვეთრი ზრდას ახასიათებს: გაიზარდა ინფლაცია და კონტრაბანდის მასშტაბმა მნიშვნელოვნად მოიმატა.

საკონსულტაციო კომპანია ACT Impact-ის კვლევამ აჩვენა, რომ სიგარეტის გაძვირების შემდეგ მწვევლების დასახლებით შესაძლებელია სიგარეტი უფრო ადვილად გადასასხვევი თამბაქოთი ჩანაცვალა, რაც მათ ჯანმრთელობას რისკი შეუქმნა.

ლიკა გოდერძიშვილი (ACT Impact-ის წამყვანი ეკონომისტი): „მეზობელ ქვეყნებში თამბაქოს ფასები როცა დაბალია, კონტრაბანდის შემოდინება იმატებს. სიგარეტის არალეგალურმა იმპორტმა აზერბაიჯანიდან - წლიურად

სამუდომად 10%-ით, ხოლო თურქეთიდან 34%-ით მოიმატა. სიგარეტის კონტრაბანდზე აღობრული საქმეების რაოდენობა 2019 წლის პირველ ორ კვარტალში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 211% -ით არის მომატებული. ამ მონაცემებს ადასტურებენ სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებიც. ისინი აღიარებენ, რომ საზღვრებზე გამკაცრებულია კონტროლის მიუხედავად, კონტრაბანდული სიგარეტი მაინც შემოდის. ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებები უნდა შესრულდეს, მაგრამ ეს ცვლილებები კარგად დაგეგმილი და დროში გაწერილი უნდა იყოს. ცვლილებები უნდა მოხდეს კრძო სექტორის ჩართულობით, ბიზნესს ზიანი რომ არ მიაღწევს. რადგან თამბაქოს ბიზნესში ბევრი ადამიანი ჩართული და კომპანიები

თავიანთი ხარჯების დაბალანსების მიზნით პირველ რიგში, იძულებული იქნებიან მუშაზელი შეამცირონ“.


ივანე ხასია („ჯეი-თი-აი“-ს კორპორაციული დირექტორი): „აქციზის ნაქარგვად და სამოქმედო გეგმის გარეშე მატება, ნეკატორი შედეგი მოიტანა. არ იყო გათვალისწინებული რეგიონში არსებული მდგომარეობა. რადგან მეზობელ ქვეყნებში სიგარეტი 2-ჯერ ნაკლები ღირს, შეუძლებელი გახდა კონტრაბანდის შეჩერება.“

საქართველოს აქვს ვალდებულება, აქციზის განაკვეთი გრძელვადიან პერსპექტივაში ევროკავშირში არსებულ ნიშნულს გაუთანაბრდეს. ეს არგუმენტი გასაგება და მისაღები, მაგრამ უნდა გათვალისწინონ, რომ ევროკავშირის ქვეყნები ამ ნიშნულსეკნ ეტაპობრივად,

12-13 წლის განმავლობაში მიდიდნენ. საქართველო კი არსებული ტემპით ევროკავშირის ნიშნულს 2-3 წელიწადში მიუახლოვდება. ამასთან, მომხმარებლის მსყიდველუნარიანობა ვერ ეწევა აქციზის ზრდის არსებულ ტემპს. ეს მათ უბიძგებს, სიგარეტი ადვილად ალტერნატივით ჩანაცვალონ. არაკონტროლირებადი ტერიტორიებიდან შემოდის სიგარეტი, რომელიც ლეგალურზე 2-3-ჯერ ადვილად ღირს. ამიტომ საჭიროა აქციზის ზრდის გრძელვადიანი გეგმის შემუშავება. ასევე, მნიშვნელოვანია შეამციროდეს ადგილობრივი გადასახადი, რომელიც დღეისათვის სიგარეტის ფასის 30%-ია. ეს ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ტრენდია, და ამის სანაცვლოდ, მხოლოდ ფიქსირებული განაკვეთის ზრდა მოხდეს“.

### სასიქარაოლო გავლენილი

## ქველი ჩხატარაიშვილი



გურიის წარსულის კვლევებში განსაკუთრებული პროფესორ ქველი ჩხატარაიშვილის ღვაწლი.

დაიბადა 1930 წელს ოზურგეთის უმშვენიერეს სოფელ შემოქმედში. მისი მშობლები იყვნენ: მამა - ალექსი დავითის ძე ჩხატარაიშვილი, დედა - ელენე ირაკლის ასული შაფაქიძე. 1936-1947 წლებში სწავლობდა სოფელ შემოქმედის საშუალო სკოლაში. სკოლის წარჩინების (ოქროს მედალზე) დამთავრების შემდეგ, იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.

იგი ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან იწყებს მშობლიური კუთხის შესწავლას. პირველი რეფერატი შემოქმედის მონასტერს მიუძღვნა, რომელიც მოსწავლეობის დროს დაწერა და გააცნო შემოქმედის საშუალო სკოლის საისტორიო წრეს. სტუდენტობის პერიოდში მუშა-

ობდა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. უნივერსიტეტი დაამთავრა 1952 წელს.

1952-1954 წლებში ქველი ჩხატარაიშვილი მუშაობდა ისტორიის და გეოგრაფიის მასწავლებლად თბილისის რკინიგზის მე-7 ვაჟთა სკოლაში; 1952-1970 წლებში - ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლად თბილისის რკინიგზის მუშა ახალგაზრდობის პირველ საშუალო სკოლაში.

1955 წელს ქველი ჩხატარაიშვილი ჩაირიცხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, სპეციალობათ საქართველოს ისტორია, რომელიც დაამთავრა 1957 წელს.

1962 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე.

1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გურიის სამთავრო“ (პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევი). მას დამსახურებლად მიენიჭა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. სამუშაოდ, ეს ვრცელი და შესანიშნავი გამოკვლევა დღემდე გამოქვეყნებული არ არის.

1968-1986 წლებში ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია. 1978 წელს მიენიჭა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო წოდება. 1986 წლის 1 ოქტომბრიდან იგი ისტორიის ინსტიტუტის წამყვანი

მეცნიერ-თანამშრომელია.

1987 წელს ქველი ჩხატარაიშვილი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ფეოდალური საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის სოციალური არსი“ და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის წოდება.

1989 წლის ივნისიდან გარდაცვალებამდე (1995 წლის 13 თებერვალი) იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილების გამგე.

ქველი ჩხატარაიშვილის შესახებ ბატონი ანრი ბოვერაძე გადმოქცევს: „ქველი ჩხატარაიშვილი იყო მრავალმხრივი მეცნიერული ინტერესების მქონე, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ერუდირებული და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. მისი კვლევის ძირითად თემებს წარმოადგენდა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება ფეოდალურ ეპოქაში, სამხედრო საქმის ფეოდალურ საქართველოში, აგრეთვე ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიის საკითხები. იგი იყო „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV ტომის ერთ-ერთი ძირითადი ავტორი.

1979 წელს ქველი ჩხატარაიშვილი გამოაქვეყნა ნაშრომი „ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში“, რომელმაც მასში დასმული პრობლემების აქტუალობითა და გადაწყვეტით მიიქ-

ცია სპეციალისტთა ფართო ყურადღება. ამ მონოგრაფიაში შესწავლილია სამხედრო საქმის ორგანიზაციის სოციალური არსი და მნიშვნელობა ფეოდალური საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა სისტემაში ამ წყობილების მთელ სივრცეზე. ნაშრომში საკვლევი საკითხი გაშუქებულია შედარებით ისტორიულ ჭრილში და, აქედან გამომდინარე, ავტორმა გააკეთა მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი წყობილება ტიპოლოგიურად ისეთივე იყო, როგორც იმავე პერიოდის დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი წყობილება.

ქველი ჩხატარაიშვილის მონაწილეობდა „თბილისის ისტორიის“ სამეტომეულის შექმნაში, იგი ავტორია იმ ნაწილისა, რომელშიც აღწერილია მეცნიერებისა და განათლების განვითარება XVIII საუკუნის 30-90-იანი წლების თბილისში.

1991 წელს დაიბეჭდა ქველი ჩხატარაიშვილის ისტორიოგრაფიული ნარკვევი „თავისუფალნი ფეოდალური ეპოქის საქართველოში: მონოგრაფიაში შესწავლილია პიროვნების თავისუფლების პრობლემა ფეოდალური ეპოქის საქართველოში, დადგენილია თავისუფალთა და სოციალური ვინაობა და თავისუფლებისა და საკუთრების ურთიერთკავშირი, თავისუფლების პრობლემა ფეოდალურ საქართველოში, შეიძლება ითქვას, თითქმის შეუსწავლელ საკითხთა წრეს მიეკუთვნებოდა. ავტორმა შეავსო ეს ხარვეზი. მთლიანობაში ქველი ჩხატარაიშვილი ავტორია ასამდე მეცნიერული ნაშრომისა,

რომელთაგან რამდენიმე მონოგრაფიაა, ხოლო ორი ნაშრომი, გენერალ ივანე შაიშველაშვილთან („დიდგორის ბრძოლა“ 1973 წ.) და პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძესთან („გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები“, 1995 წ.) თანავტორობით აქვს გამოქვეყნებული. ქველი ჩხატარაიშვილს ეკუთვნის მრავალი სტატია, დაბეჭდილი ქართულ, სომხურ და საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაში.

1978 წლიდან იგი ასრულებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა კოორდინაციის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივნის მოვალეობას (ანრი ბოვერაძე „ქველი ჩხატარაიშვილი“ საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“ VII გვ. 251-152).

ქველი ჩხატარაიშვილი 1989 წლის 1 ივნისიდან გარდაცვალებამდე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილების გამგე.

ოჯახი: მეუღლე დოღო მახარაძე (გარდაცვლილი).

შვილები: მაია - ისტორიკოსი, კახა - ცნობილი მხატვარი გრაფიკოსი.

ქველი ჩხატარაიშვილი დაკრძალულია თბილისში საბურთალოს (ახალ) პანთეონში.

მანანა ლომაძე

# ლანჩხუთის ჭადრაკის სახლში სტარტი აიღო გურიის რიგით 24-ე ჩემპიონატმა ჭადრაკში



15 ნოემბერს, ჭადრაკის სახლში სტარტი აიღო გურიის რიგით 24-ე ჩემპიონატმა ჭადრაკში. ჩემპიონატი გაიხსნა საზეიმო ვითარებაში, რომელსაც ესწრებოდნენ პარლამენტარი ნინო წილოსანი, ჭადრაკის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ჭადრაკის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, გურიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე. მასში 29 მოჭადრაკეა ჩართული, მ.შ. მოქმედი ჩემპიონი და 4 ექსჩემპიონი.

გურიის ჩემპიონატი რეგიონის საჭადრაკო ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა, რომლის მიმართ მუდამ განსაკუთრებული ინტ-

ერესი აქვთ არამარტო მოჭადრაკეებს, არამედ ჭადრაკის მოყვარულებს და ზოგადად საზოგადოებას. გურიის ჭადრაკის ფედერაციის მთავარი მიღწევა ის არის, რომ იგი 1995 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად, ჩავარდნების გარეშე ატარებს აღნიშნულ ღონისძიებას და ამ მხრივ რეგიონებს შორის პირველია. დღემდე ჩატარებულ 23 ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 67 მოჭადრაკეს აქვს მონაწილეობა მიღებული, რომლებიც ამ უფლებას მუნიციპალურ ჩემპიონატებში მიღწეული შედეგების მიხედვით ღებულობდნენ.

ჭადრაკის მოყვარულებს დაინტერესებს ალბათ სტატისტიკის

ზოგიერთი მაჩვენებელი, კერძოდ:

- გურიის პირველი ჩემპიონი, საქ. ეროვნული ოსტატი, ჩოხატაურიელი ამირან ბერძენიშვილია.

- 23 ჩემპიონატიდან გურიის ჩემპიონობა 12 ჯერ აქვს მოპოვებული ლანჩხუთელ მოჭადრაკეებს: ქრისტინე მჟავიას 4 ჯერ, 3-3 ჯერ ნუგზარ გვარჯალაძეს და რუსუდან ჭკუასელს. ტარიელ ხუხუნიანიშვილს 2-ჯერ. ჩოხატაურელებმა ჩემპიონობა 4 ჯერ იხვიემეს, მ.შ. გივი ქორიძემ 3-ჯერ (დღეისათვის მოქმედი ჩემპიონი) და ამირან ბერძენიშვილი ერთჯერ.

ოზურგეთელებმა ჩემპიონობა 7-ჯერ მოიპოვეს. პირველი ოზურგეთელი, ვინც ჩემპიონობა მოიპოვა (2000წელს) აწ გარდაცვლილი თორნიკე ხვედელიძეა. 2-2 ჯერ გამარჯვებს მინდია ჩხიკვიშვილი, გიორგი გოგოლაურმა და დავით ცეცხლაძემ.

- ყველაზე ახალგაზრდამ ჩემპიონობა (16 წლის ასაკში) მინდია ჩხიკვიშვილი მოიპოვა (2002 წ.);

- ოზურგეთელმა ლანა ლომაძემ ორჯერ მოიპოვა ვიცე- ჩემპიონის ტიტული ვაჟთა შორის, თანაც ერთხელ 14 წლის ასაკში.

- ჩემპიონატებში ყველაზე მაღალი მიღწევებით გამოიჩინა თავი ნუგზარ გვარჯალაძემ, რომელიც 12 ჯერ შევიდა საუკეთესო სამეულში და 15-ჯერ საუკეთესო ხუთეულში.

- ყველა ჩემპიონატში აქვს მონაწილეობა მიღებული ლანჩხუთელ ნუგზარ გვარჯალაძეს და ტარიელ

ხუხუნიანიშვილს. რომელთათვის მიმდინარე ჩემპიონატი 24-ე იქნება.

- ჩატარებული 23 ჩემპიონატიდან, 18-ს ოზურგეთმა უმასპინძლა, 4-ს ლანჩხუთმა და ერთს ჩოხატაურმა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათი წლის მანძილზე ოზურგეთელებმა 5-ჯერ იმარჯვეს (მინდია ჩხიკვიშვილი, გიორგი გოგოლაური, დავით ცეცხლაძე) 3-ჯერ ჩოხატაურელებმა (გივი ქორიძე) და 2-ჯერ (ლანჩხუთელმა ტარიელ ხუხუნიანიშვილი).

ბუნებრივია, დიდ ინტერესს იწვევს წლებიდანდელი პირველობაც. წინასწარი შეფასებებით, გამოცდილი მოჭადრაკეების შანსები თითქმის თანაბარია, მაგრამ პატარებიც ანგარიშგასაწევია. ექსპერტები განსაკუთრებულ სიურპრიზებს ოზურგე-

თელი თენგიზ თოიძისა და ლანჩხუთელ მიხეილ აფხაზავასაგან ანონსებდნენ, თუმცა ბოლო მომენტში 10 წლის თენგიზ თოიძის ჩაბმა ჩემპიონატში ვერ მოხერხდა, რომელმაც ახლახან დამთავრებულ საქართველოს R-1600 რეიტინგის მქონე ვაჟთა შორის ვიცე ჩემპიონი გახდა.

ოზურგეთელებიდან პირველი პარტიები მოიგეს ჩემპიონობის პრეტენდენტებმა დავით ცეცხლაძემ, გიორგი გოგოლაურმა, ნუგზარ გვარჯალაძემ. ამ ტურის სიურპრიზი იყო, ჩემპიონობის ფავორიტმა ტარიელ ხუხუნიანიშვილმა მის მოსწავლესთან ქეთევან კილაოსნიასთან წააგო.


ენახოთ წინ საინტერესო ბრძოლებია.



# პაცი, რომელიც ყველას დაგვაკლდა

## სულთანა

### ნანა დოლიძე-გებელიძისა



სავალ გზას ხელოვნებაში. ბატონი გივი წლების განმავლობაში მღეროდა სხვადასხვა ანსამბლში: მ. შვი-შვილის „შიდაკაში“, სასოფლო-სამეურ-ნეო ინსტიტუტის ანსამბლში, „გორ-დელაში“ ანზორ ერქომაიშვილის ხელმ-ძღვანელობით და ქალაქ თბილისის საბჭოს ანსამბლში მამია სატელიშვილის ხელმძღვანელობით. ყველაზე იყო წამყ-ვანი სოლისტი.

გივი იყო მეგობრის კაცი, „მობ-რანდის“ კაცი, ნათესავების და მოყვრე-ბის მოჭირნახულე, ყურადღებიანი, სპუტაკი ადამიანი. სხვისგან არაფერს ელოდებოდა, თვითონ კი ყველას თავს ევლებოდა უან-გაროდ. იყო ზედმიწევნით გვერდში მდო-მი და ადამიანის მოძმარე.

ეს თვისებები მან გარკვეულწილად მეც შემიძინა, დამაყენა ცხოვრების სწორ გზაზე. ამას ყოველთვის ვგრძობდი და ვგრძნობ ახლაც. მაღლობა ბატონ გივის ამისთვის.

სამ ინსტიტუტში სხვადასხვა ანს-ამბლში მოღვაწეობის დროს, ერთ-ერთში მან ადამიანი და ანსამბლში მიიყვანა შემდგომში ლოტარია და ანსამბლ „ერი-სიონის“ ხელმძღვანელი ვეჟალ ჭკუასელი.

ბატონ გივის, პენსიაზე გასვლის შემდეგ, არც ანსამბლში გაუგრძელებია მოღვაწეობა და არც სოფლის მეურნ-ეობაში. კაცი ვერ ჩერდებოდა ფიზიკური შრომის გარეშე. შუაგულ ქალაქში შექმნა სანიმუშო შიდა მეურნეობა. საერთოდ,

რამდენიმე სპეციალობას თანაბრად ფლო-ბდა.

თავისი გარდაცვალებით დიდი ტკივილი დავვიტოვე, მაგრამ ამ დიდ ტკივილს აშუშებს მისი სახელი. წუთისოფლის ცხოვრება არის გამოცდა, როგორც ცხოვრება აქეთ, ისე იქნები იქეთ, სამუდამო სასუფეველში. ეს დიდი გამოცდა ბატონმა გივიმ ფრიადზე ჩააბარა.

დიდი ილიას გამოთქმა, „ადამიანს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი და-ტოვოს აქ და მეორე წაიღოს სამუდამო სასუფეველში“. ბატონ გივისაც ორი სახ-ელი ჰქონდა, პირველი არსად წაუღია, დავვიტოვე მოსაგონებლად, მეორე კი, უსათუოდ სულს იშვევებს სამარადისო სასუფეველში.

სიცოცხლე სიკვდილით არ მთა-ვრდება, არის მეორე სიცოცხლე, რომელ-იც სიკვდილის შემდეგ გრძელდება. ჩვენი გივის მარადიული და უკვდავი სული ჩვენს ირგვლივ ცისქვეშეთში ტრიალებს, მხოლოდ დაუდგელი სხეული გან-ისვენებს დედამიწაში, როგორ ღირსეული შვილისა.

სამძიმარს ვუცხადებ ბატონი გივის შესანიშნავ ოჯახს, მეუღლეს – ქალბა-ტონ აზას, შვილებს ვალერისა და ნანას თავიანთი ოჯახებით.


ღმერთი იყოს მათი მზარველი ამ დიდი დანაკლისის გამო.

**პასტანა მარგალიტაძე**

დიდი გულისტკივილით გვ-ინდა გაუწყოთ ოზურგეთის სა-ზოგადოებას, რომ გარდაიცვალა ჩვენი ყოფილი თანამშრომელი **ნანა ნიპიფოროს ასული დოლიძე-გებელიძისა**, რომელ-იც, თავის აწ გარდაცვლილ მეუღლე ენვერ მგელაძესთან ერთად, წლების მანძილზე მუშაობდა ცენტრ „ანასეულში“. ის იყო საუკეთესო სპეციალისტი, მოსიყვარულე დედა, დედმ-ამიშვილი, ასევე ერთგული მეგობ-არი. მსუბუქი იყოს მასზე დაყრდილი მიწა. უფალი ფარავდეს ყველა ჩვენგანს.



#### ადამ ბერიძის სახელობის ნიადავის და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეულის“ თანამშრომლები.



საქართველოს პედაგოგთა და მეცნი-ერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზუ-რგეთის რაიონული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება ოზურგეთის მუნიცი-პალიტეტის საჯარო მოხელეთა პროფ-კავშირის რაიონული ორგანიზაციის თავ-მჯდომარის, უალრესად ნიჭიერი და განა-თლებული პიროვნების **პავლე შარ-აშიძის** გარდაცვალებას და თანაუგ-რძნობს განსვენებულის ოჯახს.

## სკანვორდი

	მამაკაცის განსაცემელი						მეთთხე ნოტი		
							მხამველობითი საგანი		
	გამაფხულის ყვავილი		შრომის ბირჟის წარმომადგენელი				ბეგინის ამშველი დანადგარი		
							ქართული გვარი	ერთგვარი საღებავი, ლაქი	
	წიწილების საჩევი					სისხლის შემდეგული დაავადება	მბრუნავი წყალი		სამიანი ნარღში
		სამხედრო მარეალი					გრათუი		
		ხუთაპიიანი	მიწის ნაწილი				სპილოსმაგვარი უმეღესი ცხოველი		
	პალმის სახეობა	მწილი					მებაღე ზოგადად		
	მეგალო-პლასტმასის ფირმა		ყველაზე წყალუხვი მდინარე	მონღოლეთის ლედაქალაქი					
						ერთგვარი კახეტი			ჩხეხეთის ლედაქალაქი
	ქალაქი საფრანგეთში				ქსოვილის ბედაპირი				
კომში			პაგარა ცლომილი			გადასაადღვილებელი საშუალება	რეინიგმის გრანს-პორტი	კურორტი იმერეთში	ჩანასახის სიცოცხლის ხელოვნურად მოსპობა
	მეგროსადგური თბილისში		ადამიანის მსგავსი ცხოველი		პაგარა მღრღნელი				

### № 38-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ჯანსუღ კახიძე; აფრიკის უმაღლესი მწვერვალი – კილიმანჯარო; ძალა – ენერჯია; თვითმფრინავის სარკმელი – ილუმინატორი; ჩიტის ჭიკჭიკი – გალობა; გვერდიდან ბურთის შემოტანა – აუტი; მეორე ნოტი – რე; მათემატიკური საგანი – ალგებრა; კედლის ჭალი – ბრა; მანქანის ნაწილი – რადიატორი; დიდი ვორა – მთა; ქალის სახელი – ნია; იტალიელი ფეხბურთელი – ტოტი; რიცხვი – ორი; რუკების კრებული – ატლასი; სხეულის უკანა მხარე – ზურგი; ჩრდილოეთის ირემი – ლოსი; ტანმორჩილი ცხენი – გერგე; ერთგვარი ქარი – ორპირი; პიესების მწერალი – დრამატურ-გი; ბუნტის თავი – კალამი; სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტში – ლამპარი; ფეხით გადაადგილება – სიარული; მდინარე ციმბირში – ირტიში; გერმანელი მწერალი თომას... – მანი; მწვერვალის უმაღლესი წერტილი – პიკი; სამხედრო მუსიკა – მარში; ერთიანი ნარღში – იაქე; ფირმა „მარტინ...“ – ბუერი; პატარა გემი – იახტა; ბუნტის თავი – აშარი; ტიცინის ყვავილი – მიხაკი; პატარა – ჩიკა; ჩვენ რუსულად – მი; ქართული გვარი – მამფორია; ძილის მოკიდება – რული; ფსკერი – ძრო; სოფელი სიღნაღის მუნიციპალიტეტში.



# კობის, მომღერლისა და მხატვრის იური ჩიხლაძის სახლის უკვდავყოფელი წიგნი



კიდევ ერთი დიდებული საქმე გააკეთა ა(ა)იპ ოზურგეთის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრმა, რომლის ხელშეწყობით დაიბეჭდა ოზურგეთელი კოლორიტი პოეტისა და მომღერლის, აწ გარდაცვლილი იური ჩიხლაძის კრებული. 15 ნოემბერს ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში წიგნის პრეზენტაცია მოეწყო, სადაც კიდევ ერთხელ უკვდავდგეს, ტრადიციის შედგენა, საწუთროდანი, უდროოდ წასული ახალგაზრდა უნიჭიერები შემოქმედის სახელი.

„მადლობა მზეო, ასე ლამაზად რომ ანათებ ჩემს დაბნელებულ სიცოცხლეს. უნდა ვიცხოვრო, კეთილი ვაკეთო, რომელიც ყოველთვის გაახარებს ჩემიანი მოკვდავს. სანამ მზე არ

დაკარგავს სიბოლოს, მანამ იცოცხლე ჩემო მეგობარო...“ – ასე ეფერებოდა სამყაროს იური ჩიხლაძე, უნიჭიერესი შემოქმედი, ხალხური მუსიკის მოამბე, შეუდარებელი პედაგოგი, პოეტი, სიცოცხლეზე შეყვარებული მზიანი გულის კაცი, რომელიც ნამდვილად დააკლდა ქალაქს.

ბატონი იური ოზურგეთის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში წლების განმავლობაში მუშაობდა. სწორედ აქ ჩამოაყალიბა ხალხურ საკრავთა ანსამბლი „ედელვაისი“, რომელშიც მთელი თავისი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი ჩაღო. უშურველად, დაუზარელად ასწავლიდა ბავშვებს ხალხურ საკრავებს და აზიარებდა ფოლკლორის იმ საგანძურს, რომლითაც ესოდენ მდიდარია ჩვენი კულტურა. შედეგად არ დააყოვნა, „ედელვაისმა“ მალე მოიპოვა ხალხის სიყვარული და აღიარება საქართველოში თუ საზღვარგარეთ გამართული კონკურს-ფესტივალებიდან ანსამბლი ყოველთვის საპატიო ჯილდოებითა და გრან-პრით ბრუნდებოდა.

ამ წიგნით გვინდა, კიდევ ერთხელ მოვიხადოთ ქედი უარესად მოკრძალებული და თავმდაბალი შემოქმედის ხსოვნის წინაშე. – კვითხულობთ წინასიტყვაობაში.

იური ჩიხლაძე დაიბადა 1966 წლის 28 იანვარს სოფელ ძიმითში. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი მშობლებმა სასწავლებლად ქუთაისში, პირველ მუსიკალურ სკოლა-

ინტერნატში მიიყვანეს, სადაც მან მხოლოდ 9 წელი ისწავლა.

საკმაოდ ადრეულ ასაკში (16 წლის) დაქორწინდა თავისივე კლასელ ნინო ფურცხვანიძეზე, რომელიც მისი მუზის შთაგონების წყარო გახდა, რომელსაც არაერთი ჩანახატი თუ ლამაზი სტროფი მიუძღვნა.

დაქორწინების შემდეგ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა.

1983 წლიდან ძიმითში ის სათავეში ჩაუდგა ორკესტრს, რომელსაც თითქმის 10 წელი უხელომდევანდა. აღნიშნული ორკესტრის ბაზაზე შეიქმნა ტრიოც. ეს ტრიო, ორკესტრთან ერთად, ხშირად მონაწილეობდა რაიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებსა და ფესტივალებში, ასევე თბილის-ქალაქობის დღესასწაულებში.

1987-1990 წლებში მუშაობდა ოზურგეთის კულტურის სახლის აგიტ-მხატვრულ ბრიგადაში, ოპორისტული სკეტჩების დამდგმელ მსახიობად. პარალელურად მუშაობდა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში მსახიობად და თეატრთან არსებულ ანსამბლ „სახიონში“.

1993-1995 წლებში ოზურგეთის მუსიკალურ კოლეჯში ჩამოაყალიბა ხალხურ საკრავთა ანსამბლი „პირველი სხივი“. ანსამბლმა მალე მოიპოვა პოპულარობა და საგასტროლოდ იმყოფებოდა თურქეთში, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფესტივალთან“ ერთად.

1996 წელს სამუსიკო სკოლის მამინდელმა დირექტორმა ნატო

ერქომიშვილმა მიიწვია ამ სკოლაში და საგანგებოდ ოუნიტის დაამატა ხალხურ საკრავთა სექტორი. იურიმ აქვე გადმოიყვანა კოლეჯში შექმნილი ანსამბლი „პირველი სხივიც“.

ამავდროულად მან კულტურის სახლში ჩამოაყალიბა ვოკალურ ინსტრუმენტული კვარტეტი „რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა.

1998 წლის ზამთარში საფუძველი ჩაუყარა ანსამბლ „ედელვაისს“. 1999-დან 2008 წლებში ანსამბლი საგასტროლოდ იმყოფებოდა თურქეთში, რუსეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, ესპანეთში, იტალიაში, ლიტვაში, საიდანაც საპრიზო ადგილებითა და საპატიო ჯილდოებით დაბრუნდა.

2003 და 2006 წელს „ედელვაისმა“ თბილისში გამართულ კონკურს-

ფესტივალში გრან-პრი და წლის საუკეთესო ანსამბლის წოდება მოიპოვა.

იური თვითნასწავლი მხატვარიც იყო. მას ეკუთვნის რელიგიურ თემაზე შექმნილი არაერთი კომპოზიცია, რომელთა უმრავლესობა დღეისათვის ეკლესიებში ინახება.

ქართული ფოლკლორის შენარჩუნების, განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისათვის 2010 წელს ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. მამის საქმეს შვილი განაგრძობს. იურის უფროსი ვაჟი გიორგი დღეს „ედელვაისის“ ხელმძღვანელია.

იური ჩიხლაძე 45 წლის ასაკში 2011 წლის 27 ივლისს ტრაგიკულად დაიღუპა.



## „ქლარუნები“ – ახალი სააღმზრდელო ჯგუფი ლიხაურის საბავშვო ბაღში



როცა საბავშვო ბაღში ახალი სააღმზრდელო ჯგუფი იხსნება, ჩვეულებრივ, სასამართლო ფაქტია, მაგრამ როცა ამ ჯგუფის გახსნას მთელი სოფელი, მოწვეული სტუმრებითურთ, ზეიმობს, ამას უკვე მოვლენა ჰქვია. არც შეიძლება სხვანაირად ყოფილიყო ლიხაურში – ქვეყნის მასშტაბით, ყველანაირად ერთ-ერთ საუკეთესო სოფელში.

როგორც სათაურში აღვნიშნეთ, ახალ, IV სააღმზრდელო ჯგუფს „ქლარუნები“ ჰქვია და დარწმუნებულები ბრძანდებოდით, რომ ამ ჯგუფის ოცდათორმეტი ბავშვი სულ მალე ისევე პარმონიულად იყოფიან, როგორც წინა სამი ჯგუფისა, რომელთა შესახებ რამდენჯერმე ვწერდით კიდევ. აქ პატარების აღზრდას ხომ ნამდვილი პროფესიონალები ემსახურებიან და ინფრა-

სტრუქტურაც იდეალურთან მიახლოებულია.

ადგილობრივი ტელევიზიით უკვე ნახავდით, როგორ გამოიყურება „ქლარუნების“ ოთახი. ორიგინალურია, რომ მის ჭერზე საქართველოს ეროვნული დროშაა მოხატული. ამით, ჩემი აზრით, ყველაფერია ნათქვამი. დიას, პატრიოტულ სულისკვეთებას სწორედ საბავშვო ბაღებიდან უნდა მიეცეს დასაბამი, აქედან უნდა იწყებდნენ ბავშვები სახელმწიფოებრივ აზროვნებას.

დამსწრეთათვის შთამბეჭდავი სიურპრიზი იყო ჰიმნად აღიარებული სიმღერა, რომლის ტექსტის ავტორი გახლავთ ნათია გობრონიძე, ხოლო მუსიკისა – მზია კოიძე.

ნათია გობრონიძე, ლიხაურის საბავშვო ბაღის მენეჯერი: „უპირველესად,

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, პირადად მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ კონსტანტინე შარაშენიძეს, რომელმაც ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ გახსნილიყო ეს ჯგუფი. თქვენ ხედავთ, როგორ პირობებში იქნებიან აქ აღსაზრდელები, როგორია ინფრასტრუქტურა. შეხებილია შესაბამისი ავეჯი, და ჭურჭლეული. ეგვი არ მეპარება, რომ აღმზრდელები მათ ვამაყობ და გურანდა ბერძენიშვილი, აღმზრდელის თანამშემეხ სათუნა ჭელიძე, თავიანთი ინოვაციური საქმიანობით ყველაფერს იღონებენ, რომ „ქლარუნების“ ექო გაცდეს ჩვენი ბაღის ეზოს“.

თემურ მოქია: „იშვიათი, ამავე დროს, განსაკუთრებული დღეა, ჯგუფს ვამატებთ ბაღში. ყველა სოფელს გადასხმოდეს ეს წყალი. კიდევ მრავალი ჯგუფი გაგვეხსნას“.

მარინა ჯაფარიძე: „გამორჩეულად

ლამაზი დღეა. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ლიხაურში კონტინენტი ასე იზრდება. გახარებული ვართ იმ გარემოთი, რომელსაც აქ ვხედავთ. განათლება სახელმწიფო პრიორიტეტია და აქ კარგად ვხედავთ არა მხოლოდ საბავშვო ბაღის ხელმძღვანელებისა და მომსახურე პერსონალის, არამედ მთელი სოფლის ზრუნვას ამ თვალსაზრისით“.

როზა გოგუაძე, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი: „ვეუბრებით ამ ულამაზეს დღეს. ლიხაურის საბავშვო ბაღი და მე ერთად მოვიდვართ. აქ სააღმზრდელო ჯგუფი მოქმედებს. დიდი სურვილი მაქვს ასე მოხდეს მალე“.

აქვე ქლარუნმა როზამ საბავშვო ბაღს უსახსოვრა იაკობ გოგებაშვილის „ადღა ენა“.

## ქალბატონ ანა მენაბდეს



გულწრფელი სიყვარულითა და უღრმესი პატივისცემით გილოცავთ განსაკუთრებულ თბილეს – დაბადებიდან შვიდი ათეული წლის ღირსეულად გასრულებას.

განვებამ თქვენ დაგაკისრათ ურთულესი მისია, ემსახურეთ ნორჩი თაობების აღზრდას, ეს ნიშნავს, რომ პროფესიული თვალსაზრისით გაართო ურთულესი გზა, მაგრამ ამ სირთულეს უთვალავი ცუროდებების მოსიყვარულე თვალელები და თბილი ღიმილი გადავარავს.

კრძალვით ვხრთ თავს თქვენი ესოდენ აუწყავი ნაღვლის წინაშე. გიხდით მადლობას სიკეთისა და პროფესიის სიყვარულისათვის. დღევრძელობა და მზეგრძელობა გვისურვება.

კვლავ წარმატებით გველოთ. გვარავდეთ უფალი! უღრმესი პატივისცემით,

**როზა გოგუაძე,**  
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, +6+18 18 ნოემბერი ორშაბათი	მზე, +4+17 19 ნოემბერი სამშაბათი	მზე, ღრუბლი +4+16 20 ნოემბერი ოთხშაბათი	მზე, ღრუბლი +4+16 21 ნოემბერი ხუთშაბათი	მზე, ღრუბლი +4+14 22 ნოემბერი პარასკევი	მზე, +4+14 23 ნოემბერი შაბათი	მზე, +3+15 24 ნოემბერი კვირა
------------------------------------	-------------------------------------	--	--	--	----------------------------------	---------------------------------